შპს „წყალტუბოს თერმული წყლები“

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

სრული შემოსავლის ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 11

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12

1. კომპანია და მისი საქმიანობა 12
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები 18
4. ფინანსური რისკების მართვა 18
5. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 20
6. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები 20
7. ძირითადი საშუალებები 21
8. არამატერიალური აქტივები 24
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
10. სხვა კაპიტალი 24
11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 24
12. ამონაგები 25
13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 25
14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები 25
15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 26
16. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები 26
17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 26

მმართველობითი ანგარიში 33

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ვის: შპს „წყალტუბოს თერმული წყლების" დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს "წყალტუბოს თერმული წყლების" (შემდგომში, „კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველში"- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს) შესაბამისად.

პირობითო მოსაზრების საფუძველი

ცალკეული ძირითადი საშუალების სამართლიანი ღირებულება - კომპანიამ მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების წარმოების პროცესში დაიქირავა პროფესიონალი შემფასებელი და განახორციელა კომპანიის ძირთადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება ბასს 36 შესაბამისად. გაუფასურების ტესტირების შედეგებმა დაადგინა მნიშვნელოვანი გაუფასურება რომელიც გადანაწილებულია კომპანიის სპეციალიზირებულ აქტივებზე, ხოლო არასპეციალიზირებული აქტივები ჩამოფასებულია მათი სამართლიანი ღირებულებამდე. ამ აქტივების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე. ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება				
01.01.2022	**579**	**185**	**-**	**764**
შემოსვლა	13	6	26	**45**
31.12.2022	**592**	**191**	**26**	**809**
შემოსვლა	25	11	-	**36**
დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში	4	8	-	**12**
გასვლა	(1)	-	-	**(1)**
31.12.2023	**620**	**210**	**26**	**856**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება :				
01.01.2022 გაუფასურების თანხა	**(226)**	**(72)**	**-**	**(298)**
წლის ცვეთის ხარჯი	(64)	(28)	(1)	(93)
31.12.2022	**(290)**	**(100)**	**(1)**	**(391)**
წლის ცვეთის ხარჯი	(68)	(30)	(6)	(104)
31.12.2023	**(358)**	**(130)**	**(7)**	**(495)**
ნეტო საბალანსო ღირებულება				
01.01.2022	**353**	**113**	**-**	**466**
31.12.2022	**302**	**91**	**25**	**418**
31.12.2023	**262**	**80**	**19**	**361**

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებული შეფასების ფასს 13 - სამართლიანი ღირებულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები. ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.4 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე 2.4 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შესწორებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ციფრების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებებთან მიმართებაში.

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2023 წლის 24 ნოემბერს. ამ საკითხთაგან მოუგვარებელი დარჩა ერთ-ერთი არასპეციალიზირებული აქტივების სამართლიანი ღირებულება. ამ საკითხის გავლენის დეტალები მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაზე და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტის მოსაზრებაზე მოცემულია პირობითი მოსაზრების საფუძველის ნაწილში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კოპანიის 2024 წლის 25 ოქტომბერს დათარიღებულ მართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 32 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ -„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 25 ოქტომბერს დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 32 გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი”- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2024 წლის 25 ოქტომბერი.
თბილისი, საქართველო

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 25 ოქტომბერს დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 32 გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი"- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2024 წლის 25 ოქტომბერი.
თბილისი, საქართველო

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 (ჩასწორებული)	01.01.2022 (ჩასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	5,557	3,831	4,164
არამატერიალური აქტივები	8	262	169	185
სულ გრძელვადიანი აქტივები		**5,819**	**4,000**	**4,349**
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (სამეურნეო ინვენტარი)		39	25	7
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		8	1	-
გადახდილი ავანსები		41	1	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	1,559	946	323
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1,647**	**973**	**330**
სულ აქტივები		**7,466**	**4,973**	**4,679**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი		23,755	25,520	25,500
სხვა კაპიტალი	10	1,683	-	-
დაუფარავი ზარალი		(18,028)	(20,611)	(20,821)
სულ საკუთარი კაპიტალი		**7,410**	**4,909**	**4,679**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	56	62	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	2	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**56**	**64**	**-**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**7,466**	**4,973**	**4,679**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ბნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

ბნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 (ჩასწორებული)	01.01.2022 (ჩასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	5,557	3,831	4,164
არამატერიალური აქტივები	8	262	169	185
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,819	4,000	4,349
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (სამეურნეო ინვენტარი)		39	25	7
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		8	1	-
გადახდილი ავანსები		41	1	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	1,559	946	323
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,647	973	330
სულ აქტივები		7,466	4,973	4,679
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი		23,755	25,520	25,500
სხვა კაპიტალი	10	1,683	-	-
დაუფარავი ზარალი		(18,028)	(20,611)	(20,821)
სულ საკუთარი კაპიტალი		7,410	4,909	4,679
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	56	62	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	2	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		56	64	-
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7,466	4,973	4,679

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

გნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

გნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
საოპერაციო შემოსავლები:			
ამონაგები	12	2,349	1,885
იჯარიდან მიღებული შემოსავალი		1	3
ხარჯები:			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	13	(1,162)	(803)
ცვეთა და ამორტიზაცია		(294)	(289)
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის		(191)	(191)
სამედიცინო საქმიანობაში გამოყენებული მარაგების ჩამოწერის ხარჯი		(143)	(125)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(118)	(103)
საწვავი და ტრანსპორტის ხარჯები		(26)	(15)
საკანცელარიო და საოფისე მასალების ხარჯები		(21)	(21)
საკონსულტაციო ხარჯები		(15)	(3)
რემონტის ხარჯები		(13)	(17)
საგადასახადო ხარჯები		(2)	(2)
სხვა საერთო ხარჯები		(86)	(77)
სხვა მოგება (ნეტო)		-	15
მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებიდან და გაუფასურების შეტრილებიდან		2,161	(111)
საპროცენტო შემოსავალი		143	64
მიმდინარე წლის მოგება		**2,583**	**210**
წლის სრული მოგება		**2,583**	**210**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ბნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

ბნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
საოპერაციო შემოსავლები:	12	2,349	1,885
ამონაგები		1	3
იჯარიდან მიღებული შემოსავალი			
ხარჯები:	13	(1,162)	(803)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(294)	(289)
ცვეთა და ამორტიზაცია		(191)	(191)
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის		(143)	(125)
სამედიცინო საქმიანობაში გამოყენებული მარაგების ჩამოწერის ხარჯი		(118)	(103)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(26)	(15)
საწვავი და ტრანსპორტის ხარჯები		(21)	(21)
საკანცელარიო და საოფისე მასალების ხარჯები		(15)	(3)
საკონსულტაციო ხარჯები		(13)	(17)
რემონტის ხარჯები		(2)	(2)
საგადასახადო ხარჯები		(86)	(77)
სხვა საერთო ხარჯები		-	15
სხვა მოგება (ნეტო)		2,161	(111)
მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებიდან და გაუფასურების შეტრილებიდან		143	64
საპროცენტო შემოსავალი		2,583	210
მიმდინარე წლის მოგება		2,583	210
წლის სრული მოგება			

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

გნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

გნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,358	1,902
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები	(699)	(532)
თანამშრომლებზე გადახდილი ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული გადასახადები	(1,147)	(791)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	**512**	**579**
საპროცენტო შემოსავალი	143	64
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**655**	**643**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(42)	(28)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(2)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	10
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(42)**	**(20)**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	**613**	**623**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	946	323
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**1,559**	**946**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ბნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

ბნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,358	1,902
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები	(699)	(532)
თანამშრომლებზე გადახდილი ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული გადასახადები	(1,147)	(791)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	512	579
საპროცენტო შემოსავალი	143	64
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	655	643
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(42)	(28)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(2)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	10
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(42)	(20)
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	613	623
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	946	323
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,559	946

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

გნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

გნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	სხვა კაპიტალი შენიშვნა 10	დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	**25,500**	**-**	**(20,821)**	**4,679**
შენატანი კაპიტალში	20	-	**-**	**20**
წლის სრული შემოსავალი	-	-	210	**210**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს (ჩასწორებული)	**25,520**	**-**	**(20,611)**	**4,909**
შენატანი კაპიტალში	14	-	**-**	**14**
კაპიტალის შემცირება	(1,779)	1,683	**-**	**(96)**
წლის სრული შემოსავალი	-	-	2,583	**2,583**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**23,755**	**1,683**	**(18,028)**	**7,410**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ბნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

ბნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	სხვა კაპიტალი შენიშვნა 10	დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	**25,500**	-	**(20,821)**	**4,679**
შენატანი კაპიტალში	20	-	-	**20**
წლის სრული შემოსავალი	-	-	210	**210**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს (ჩასწორებული)	**25,520**	-	**(20,611)**	**4,909**
შენატანი კაპიტალში	14	-	-	**14**
კაპიტალის შემცირება	(1,779)	1,683	-	**(96)**
წლის სრული შემოსავალი	-	-	2,583	**2,583**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**23,755**	**1,683**	**(18,028)**	**7,410**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ბნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

ბნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „წყალტუბოს თერმული წყლების" (საიდენტიფიკაციო კოდი: 405496477) (შემდგომში ტექსტში კომპანია) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წლის 3 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: საქართველო, ქ. წყალტუბო, ცენტრალური პარკის ტერიტორია, N6 სააბაზანო შენობა. წარდგენილი საანგარიშო პერიოდებში კომპანიის წილის ერთადერთი მესაკუთრეა სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებსაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დაფუძნებული შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამკურნალო და რელაქსაციის პროცედურები: სამკურნალო კლასიკური მასაჟი, ექიმის კონსულტაცია, ინჰალაცია და სხვა სამედიცინო პროცედურები, ასევე წყლისა და ტალახის პროცედურები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 შეფასების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიისა და ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2022 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგებება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა. კომპანიის ფულადი ნაკადები ანგარიშგების საოპერაციო ფულადი ნაკადის ნაწილი წარდგენილი იყო არაპირდაპირი მეთოდით ხოლო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაში იგი წარდგენილია პირდაპირი მეთოდით, რის გამო შედარების ინფორმაცია არ არის წარდგენილი ამ კუთხით. ჩასწორების დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 (ჩასწორებული)	შეცდომების გასწორება	31.12.2022 (ჩასწორებამდე)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 1)		3,831	(11,198)	15,029
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 1)		169	(831)	1,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,000**		**16,029**
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (სამეურნეო ინვენტარი)		25	-	25
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		1	-	1
გადახდილი ავანსები		1	-	1
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		946	-	946
სულ მოკლევადიანი აქტივები		**973**		**973**
სულ აქტივები		**4,973**		**17,002**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი		25,520	-	25,520
გადაფასების რეზერვი (შენიშვნა 1)		-	(1,960)	1,960
დაუფარავი ზარალი (შენიშვნა 1)		(20,611)	(10,069)	(10,542)
სულ საკუთარი კაპიტალი		**4,909**		**16,938**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		62	(2)	64
საგადასახადო ვალდებულებები		2	-	2
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**64**		**66**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**4,973**		**17,004**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	01.01.2022 (ჩასწორებული)	შეცდომების გასწორება	01.01.2022 (ჩასწორებამდე)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 1)		4,164	(19,939)	24,103
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 1)		185	(883)	1,068
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,349**		**25,171**
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (სამეურნეო ინვენტარი)		7	-	7
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		323	-	323
სულ მოკლევადიანი აქტივები		**330**		**330**
სულ აქტივები		**4,679**		**25,501**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი		25,500	-	25,500
დაუფარავი ზარალი (შენიშვნა 1)		(20,821)	(20,822)	1
სულ საკუთარი კაპიტალი		**4,679**		**25,501**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**4,679**		**25,501**

შენიშვნა 1 - საბალანსო უწყისში მომხდარი ცვლილებები გამოწვეულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მონაცემებთან დაკავშირებით. კომპანიამ მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების წარმოების პროცესში დაიქირავა პროფესიონალი შემფასებელი და განახორციელა კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება ბასს 36 შესაბამისად. გაუფასურების ტესტირების შედეგებმა დაადგინა მნიშვნელოვანი გაუფასურება რომელიც გადანაწილებულია კომპანიის სპეციალიზირებულ აქტივებზე. გაუფასურების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები და შენიშვნა 8- არამატერიალური აქტივები. ამ ფაქტის გამო ანულირიებულია 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული გადაფასების რეზერვი და ზარალის თანხებით დაკორექტირებულია 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი ზარალი.

სრული შემოსავლების ანგარიშგება

კომპანიის 2022 წლის სრული შემოსავლების ანგარიშგება წარდგენილი იყო ფუნქციური განაწილების მიხედვით, ხოლო მიმდინარე წლის სრული შემოსავლების ანგარიშგება წარდგენილია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ამ მიზეზის გამო დეტალური შედარება სრული შემოსავლების ანგარიშგების შემადგენელი ელემენტების მიხედვით არ არის წარდგენილი. ჯამურად შემოსავალი დაკორექტირდა და შემცირდა 1 ათასი ლარით, მიმდინარე ხარჯები ჯამურად შემცირდა 10,754 ათასი ლარით რაც გამოწვეული იყო 2022 აღიარებული გაუფასურების თანხის და პერიოდის ცვეთის ანულირება დაკორექტირების გამო, რომელიც შეადგენდა 10,158 და 596 ათასს შესაბამისად. შედეგად მიმდინარე წლის შედეგი დაკორექტირდა 10,753 ათასი ლარით. სხვა სრული შემოსავალი შეიცვალა 1,960 ათასი ლარით რაც გამოწვეულია ძირითადი საშუალებების აფასების ანულირებით.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ჩასწორებამდე წარდგენილი საკუთარი კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება:

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი მოგება / ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებამდე)	**25,500**	**1**	**-**	**25,501**
წლის ზარალი	-	(10,543)	-	**(10,543)**
შენატანი კაპიტალში	20	-	-	**20**
ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი	-	-	1,960	**1,960**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს (ჩასწორებამდე)	**25,520**	**(10,542)**	**1,960**	**16,938**

ჩასწორების შემდეგ წარდგენილი საკუთარი კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება:

	განთავსებული კაპიტალი	სხვა კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	**25,500**	**-**	**(20,821)**	**4,679**
შენატანი კაპიტალში	20	-	**-**	**20**
წლის სრული შემოსავალი	-	-	**210**	**210**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს (ჩასწორებული)	**25,520**	**-**	**(20,611)**	**4,909**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)	შეცდომების გასწორება	31.12.2022 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებამდე)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი	**643**	**54**	**589**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(28)	-	(28)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(2)	-	(2)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	10	10	-
მიღებული პროცენტები	-	(64)	64
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(20)**	**(54)**	**34**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	**623**	**-**	**623**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	323	-	323
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**946**	**-**	**946**

ფულადი ნაკადების ცვლილება გამოწვეულია ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ნაკადების გამოყოფით და მიღებული პროცენტების რეკლასიფიკაციით საოპერაციო საქმიანობაში.

2.5 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2.5.1 2023 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, თუმცა მათ ძალაში შესვლას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია . ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება"-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავ გარკვეულ დამატებით შეღავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

OECD Pillar Two Rules – (გამოქვეყნებისთანავე ძალაშია გარკვეული ახსნა განმარტებების წარდგენისაგან განთავისუფლების გარდა) შეეხება მულტინაციონალურ კომპანიების ეფექტური საგადასახადო განაკვეთის წარდგენას იურისდიქციების მიხედვით.

2023 წლის 30 ივნისს საბჭოს მიერ გამოცემულია გადაწყვეტილებები ქვემოთ მოცემულ საკითხებზე რომლებიც რელევანტურია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში თუმცა მათ არ მოუხდენია კომპანიაზე რაიმე სახის გავლენა. ქვემოთ მოცემული გამოცემის თარიღები მიუთითებს საბჭოს (IASB) გადაწყვეტილების თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი	საკითხი
2022 წლის ივლისი	დაბალი გამონაბოლქვის მქონე მანქანების ნეგატიური კრედიტი (ბასს 37)
2022 წლის ივლისი	ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალად კლასიფიკაცია სპეციალური შემსყიდველ კომპანიებისათვის (ბასს 32)
2022 წლის ივლისი	*სადაზღვევო ზღვრების გადაცემა ჯგუფური ანუიტური კონტრაქტების მიხედვით (ფასს 17)*
2022 წლის ოქტომბერი	სპეციალური შემსყიდველ კომპანიებისათვის (SPAC): გარანტიების აღრიცხვა შესყიდვისას
2022 წლის ოქტომბერი	მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის ნაპატიები საიჯარო გადახდები (ფასს 9 და ფასს 16)
2022 წლის ოქტომბერი	*მულტისავალუტო ჯგუფების სადაზღვევო კონტრაქტები (ფასს 17 და ბასს 21)*
2023 წლის აპრილი	იჯარის განმარტება - იჯარის ჩანაცვლების უფლება (ფასს 16)

2.5.2 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (*Covenants*) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღე ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშრებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამყიდველი მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახდელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომელებიც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველმყოფებთან.

საბჭოს ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

3.2 ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება

კომპანიაში ჩატარებული ძირიტადი შაუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ტესტირება ბასს 36 შესაბამისად. ტესტირების პროცესი დაკავშირებულია მნიშვნელოვან დაშვებებთან დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 7 და 8.

4. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებსა და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

4.1 საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	1	-
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,558	946	323
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	**1,566**	**947**	**323**

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწეებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშრებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.
დებიტორული დავალიანება - კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიას ერიცხება მინიმალური თანხის სავაჭრო დებიტორები რომლთა საკრედიტო რისკი ნულის ტოლია.

4.2 საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

4.3 სავალუტო რისკი. კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულები რის გამოც მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფება და შიდა პოლიტიკა არ აქვს ამ რისკის საპასუხოდ ჩამოყალიბებული.

4.4 საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის 2023 და 2022 წლის ბოლოს არ გააჩნია სესხები. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ფიქსირებულ პროცენტიან ბანკის ვადიან დეპოზიტებს. შედეგად განიცდის უმნიშვნელო საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო გამოწვეულ აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკს. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

4.5 ლიკვიდურობის რისკი. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს 6 თვემდე გადასახდელ მომწოდებლებზე რიცხულ ვალდებულებებს. მენეჯმენტი თვლის რომ კომპანიის ლიკვიდურობის რისკი მინიმალურია და გეგმავს მომწოდებლების წინაშე არსებული დავალიანებების დაფარვას საოპერაციო ფულადი ნაკადებით.

4.6 ***კაპიტალის მართვა.*** კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ, შესაძლოა, მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანია არ ექვემდებარება აღებულ სესხების ხელშეკრულებების მიხედვით კაპიტალისა და სხვა ფინანსური ელემენტების ზღვრული კოეფიციენტების სახით დაწესებულ გარე მოთხოვნებს.

5. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

6. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები			
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	8	1	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,559	946	323
სულ ფინანსური აქტივები	**1,567**	**947**	**323**
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	56	62	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**56**	**62**	**-**

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
01.01.2022	**20,976**	**2,592**	**539**	**-**	**24,107**
შემოსვლა	-	30	8	26	**64**
დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში	-	-	-	20	**20**
გასვლა	-	(19)	(1)	(20)	**(40)**
31.12.2022	**20,976**	**2,603**	**546**	**26**	**24,151**
შემოსვლა	-	30	12	-	**42**
დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში	-	5	8	-	**13**
გასვლა	-	(13)	-	-	**(13)**
კაპიტალიდან გატანა	(1,905)	-	-	-	**(1,905)**
31.12.2023	**19,071**	**2,625**	**566**	**26**	**22,288**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება :					
01.01.2022 გაუფასურების თანხა	**(17,709)**	**(1,870)**	**(364)**	**-**	**(19,943)**
წლის ცვეთის ხარჯი	(85)	(148)	(43)	(1)	**(277)**
გასული აქტივის ცვეთა	-	4	-	1	**5**
გაუფასურება	(95)	(8)	(2)	-	**(105)**
31.12.2022	**(17,889)**	**(2,022)**	**(409)**	**-**	**(20,320)**
წლის ცვეთის ხარჯი	(82)	(149)	(45)	(6)	**(282)**
გასული აქტივის ცვეთა	-	6	-	-	**6**
კაპიტალიდან გატანილი აქტივების გაუფასურების ანულირება (შენიშვნა 10)	1,809	-	-	-	**1,809**
გაუფასურების შეტრიალება	1,897	138	21	-	**2,056**
31.12.2023	**(14,265)**	**(2,027)**	**(433)**	**(6)**	**(16,731)**
ნეტო საბალანსო ღირებულება					
01.01.2022	**3,267**	**722**	**175**	**-**	**4,164**
31.12.2022	**3,087**	**581**	**137**	**26**	**3,831**
31.12.2023	**4,806**	**598**	**133**	**20**	**5,557**

კომპანიამ მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების წარმოების პროცესში დაიქირავა პროფესიონალი შემფასებელი და განახორციელა კომპანიის ძირთადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება ბასს 36 - აქტივების გაუფასურება შესაბამისად. გაუფასურება ნაწარმოებია სამივე საბალნსო თარიღისათვის. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი გაუფასურების თანხა 19,943 ათასი ლარი დაკორექტირებულია და შემცირებულია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული გაუფასურების ტესტირების შედეგად. გაუფასურების ტესტირება ნაწარმოებია მომვალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გამოყენებით კომპანია ჩათვლილი იყო როგორც ერთ ფულის მაგენერირებელი ერთეული. გაუფასურების ტესტირების შედეგებმა დაადგინა მნიშვნელოვანი გაუფასურება, რომელიც გადანაწილებულია კომპანიის სპეციალიზირებულ აქტივებზე.

გაუფასურების ტესტირება ნაწარმოებია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გამოყენებით კომპანია ჩათვლილი იყო როგორც ერთ ფულის მაგენერირებელი ერთეული. ფულადი ნაკადების დისკონტირებისას გამოყენებული დისკონტირებისას მე-3 დონის (არადაკვირვებადი) ამოსავალი ინფორმაციის დეტალები და მათი ცვლილების ეფექტის შეფასებულ სამართლიან ღირებულებაზე, რომელიც გამოყენებული აქვს შემფასებელს მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	**31.12.2023**	**31.12.2022**	**31.12.2021**
დისკონტირების განაკვეთი (რაც უფრო მაღალია მით უფრო იკლებს შეფასებული ღირებულება)	16.37%	17.55%	15.35%
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყებული ზრდის კოეფიციენტი (რაც უფრო მაღალია მით უფრო იკლებს შეფასებული ღირებულება)	3%	3%	3%
შემოსავლების ზრდის კოეფიციენტი ნორმალიზებამდე (რაც უფრო მაღალია მით უფრო იზრდება შეფასებული ღირებულება)	10%	10%	10%

კომპანიის ცალკეული აქტივები სხვა და სხვა მახასიათებლების გამო არ არის სპეციფიკური და საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არსებობს აქტიური ბაზარი, შესაბამისად რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით. შეფასებისას გამოყენებული იყო საბაზრო ოპერაციები. ასეთ შემთხვევაში რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 2 დონის ამოსავალი ინფორმაციაზე დაფუძნებული სამართლიანი ღირებულება. გაუფასურების პროცესში ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირებულია მათ სამართლიან ღირებულებამდე.

პერიოდებს შორის შეფასების ტექნიკაში მომხდარი ცვლილება არ ყოფილა. რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან. ქვემოთ ცხრილებში მოცემულია შეფასებული ღირებულებები ამოსავალი მონაცემების დონეების მიხედვით 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სამართლიანი ღირებულების შეფასება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის		
	(1 დონის ამოსავალი მონაცემები)	**(2 დონის ამოსავალი მონაცემები)**	**(3 დონის ამოსავალი მონაცემები)**
მიწა და შენობა-ნაგებობები	-	79	4,727
მანქანა-დანადგარები	-	265	333
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	77	56
სატრანსპორტო საშუალებები	-	20	-
სულ	-	**441**	**5,116**

	სამართლიანი ღირებულების შეფასება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის		
	(1 დონის ამოსავალი მონაცემები)	(2 დონის ამოსავალი მონაცემები)	(3 დონის ამოსავალი მონაცემები)
მიწა და შენობა-ნაგებობები	-	175	2,912
მანქანა-დანადგარები	-	314	267
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	89	48
სატრანსპორტო საშუალებები	-	26	-
სულ	-	**604**	**3,227**

	სამართლიანი ღირებულების შეფასება 2022 წლის 01 იანვრისათვის		
	(1 დონის ამოსავალი მონაცემები)	(2 დონის ამოსავალი მონაცემები)	(3 დონის ამოსავალი მონაცემები)
მიწა და შენობა-ნაგებობები	-	175	3,092
მანქანა-დანადგარები	-	378	344
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	114	61
სულ	-	**667**	**3,497**

რომ არ მომხდარიყო გაუფასურების ტესტირება და კომპანიის აქტივები ასახულიყო თვითღირებულებით კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები ასახული იქნებოდა ქვემოთ ცხრილში მოცემული სიდიდეებით:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
01.01.2022	**20,976**	**2,592**	**539**	**-**	**24,107**
31.12.2022	**20,976**	**2,603**	**546**	**26**	**24,151**
31.12.2023	**19,072**	**2,624**	**567**	**26**	**22,289**
დაგროვილი ცვეთა					
01.01.2022	**(2)**	**(2)**	**-**	**-**	**(4)**
31.12.2022	**(599)**	**(563)**	**(136)**	**-**	**(1,298)**
31.12.2023	**(1,172)**	**(1,127)**	**(275)**	**(7)**	**(2,581)**
ნარჩენი საბალანსო ღირებულება					
01.01.2022	**20,974**	**2,590**	**539**	**-**	**24,103**
31.12.2022	**20,377**	**2,040**	**410**	**26**	**22,853**
31.12.2023	**17,900**	**1,497**	**292**	**19**	**19,708**

8. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები
ისტორიული ღირებულება	
01.01.2022	**1,069**
შემოსვლა	**2**
31.12.2022	**1,071**
31.12.2023	**1,071**
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება:	
01.01.2022	**(884)**
ამორტიზაცია	(12)
გაუფასურება	(6)
31.12.2022	**(902)**
ამორტიზაცია	(12)
გაუფასურების შეტრიალება	105
31.12.2023	**(809)**
საბალანსო ღირებულება	
01.01.2022	**185**
31.12.2022	**169**
31.12.2023	**262**

ისევე როგორც ძირითად საშუალებებს, არამატერიალური აქტივებსაც ჩაუტარდათ გაუფასურების ტესტირება. არამატერიალური აქტივები ჩათვლილია როგორც სპეციალიზებული აქტივები და მოხდა მათი გაუფასურება. არამატერიალური აქტივების ღირებულება განსაზღვრულია მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაციის საფუძველზე. გაუფასურების დეტალებთან დაკავშირებით იხილეთ მე-7 განმარტებითი შენიშვნები.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე და ვადიანი დეპოზიტების ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,558	946	323
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**1,559**	**946**	**323**

10. სხვა კაპიტალი

კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია. 2023 წელს დამფუძნებელმა მოახდინა კომპანიის კაპიტალის შემცირება ძირითადი საშუალებების გატანის გზით. გატანილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომელიც ამავე დროს იყო მისი სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 96 ათას ლარს, ხოლო განთავსებული კაპიტალის შემცირება განხორციელდა 1,779 ათასი ლარით. ფასს-ების შესაბამისად ასეთი ოპერაციები უნდა იქნას ასახული ფასს -13 სამართლიანი ღირებულების შესაბამისად გამოთვლილ აქტივის სამართლიანი ღირებულებით. სამართლიან ღირებულებასა და გამოცხადებული კაპიტალის ცვილების თანხას შორის სხვაობა 1,683 ათასი ლარი ასახულია განცალკევებული კაპიტალის მუხლის სხვა კაპიტალის სახით.

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	56	62	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**56**	**62**	**-**

12. ამონაგები

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით 2023 წელი	საქართველოში გაწეული მომსახურება
მომსახურების სახეები	
მომსახურების გაწევა	2,272
საქონლის (წყლის მიწოდება)	77
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	2,349
გრძელვადიანი	-
მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	2,349
დროთა განმავლობაში	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**2,349**

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით 2022 წელი	საქართველოში გაწეული მომსახურება
მომსახურების სახეები	
მომსახურების გაწევა	1,808
საქონლის (წყლის მიწოდება)	77
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	1,885
გრძელვადიანი	-
მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	1,885
დროთა განმავლობაში	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	1,885

13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ხელფასის ხარჯი	785	615
საპენსიო ხარჯი	18	12
დანამატები და მატერიალური წახალისება	359	176
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**1,162**	**803**

14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს და არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

	დედა კომპანიის შვილობილები	
	2023	**2022**
ოპერაციები:		
სხვა საერთო ხარჯები	6	4

	31.12.2023	**31.12.2022**
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები - ხარჯი (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი)	63	54

2023 და 2022 წლის განმავლობაში დამფუძნებელთან მომხდარი მნიშვნელოვანი ოპერაციები ასახულია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

16. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 ოქტომბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

17.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	**ევრო**
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

17.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მცირდება შემდგომში ცვეთის დარიცხვით და გაუფასურებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც იყო ჩამოწერილი. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

კომპანია იყენებს შემდეგ სასარგებლო მომსახურების ვადებს:

	მომსახურების წელი
შენობა-ნაგებობები	28-50
მანქანა-დანადგარები	3-9
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	4

17.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 4-15 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

17.4 გრძელვადიანი მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს გრძელვადიანი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

17.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი", „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით", „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით". კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი".

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (სავაჭრო მოთხოვნები, გაცემული სესხები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს

იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნებისა და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად „სხვა ხარჯების" მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებისა და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. კომპანია ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სხვა ფინანსურ აქტივებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების" კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ობლიგაციებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

17.6 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანია ამონაგებს იღებს შვილობილი კომპანიების მმართველობის მომსახურებიდან და როიალტიდან. კომპანია აღიარებს დროთა განმავლობაში თვეების პროპორციულად.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულფასიანი, შესასრულებელი ვალდებულებაც კონტრაქტის მიხედვით არის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა და სახელის უფლებით სარგებლობა, რომელსაც აქვს ყოველთვიური ხასიათი. ყოველი თვის ბოლოს ხელშეკრულების თანხით კომპანია აღიარებს ამონაგებს.

17.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

17.8 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

17.9 იჯარა

გადაცემულ საიჯარო აქტივებთან დაკავშირებით კომპანიას არ აქვს გადაცემული საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, შესაბამისად გაცემული იჯარები განიხილება, როგორც საოპერაციო. კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს, წრფივი მეთოდით, საიჯარო გადახდების შესაბამისად.

17.10 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომელის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძვნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობა, მათ შორის კომპანიაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

17.11 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

17.12 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

17.13 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

17.14 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

17.15 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

17.16 ხარჯები

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

17.17 განთავსებული კაპიტალი

სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, მიუხედავად იმისა, საზოგადოებას მიღებული აქვს თუ არა საზღაური. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული კაპიტალი შევსებული აქვს.

შპს „წყალტუბოს თერმული წყლების“-ს

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

მმართველობითი ანგარიში/საქმიანობის მიმოხილვა

1. *ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა*

შპს წყალტუბოს თერმული წყლები (კომპანია) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წლის 3 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის სარეგისტაციო ნომერია: 405496477. კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: საქართველო, წყალტუბო, ცენტრალური პარკის ტერიტორია #6 სააბაზანო შენობა.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია, ხოლო საბოლოო ბენეფიციარი სახელმწიფოა.

„ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 დეკემბრის N2327 განკარგულების საფუძველზე, კომპანიამ 2021 წლის 29 დეკემბერს გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავი ქონების, მოძრავი ქონებისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეძენის მიზნით და ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2021 წლის 29 დეკემბრიდან.

შპს „წყალტუბოს თერმული წყლები“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფიზიკური პირებისათვის სამედიცინო (სამკურნალო) მომსახურების გაწევა, როგორიცაა სამკურნალო აბაზანები მინერალური წყლით, სამკურნალო მასაჟი, ფიზიოთერაპია, ხერხემლის ჰორიზონტალური გაჭიმვა და სხვები.

შპს „წყალტუბოს თერმული წყლები“ წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს ბალნეოთერაპიულ დაწესებულებას, რომელიც ფლობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში „წყალტუბოს“ თერმულ-მინერალური წყლების საბაზოდეზე სამკურნალო და რეკრეაციული მიზნებისათვის მიწისქვეშა მინერალური წყლების სარგებლობის ლიცენზიას №100026076, რომელიც გადმოეცა 2021 წლის 29 დეკემბერს, 2037 წლის 26 მაისამდე.

კომპანიის მიერ წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების საბადოზე მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე, აგრეთვე მუდმივად ხორციელდება ჰიდროქიმიურ-რეჟიმულ დაკვირვება და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.

სანგარიშგებო წლის ბოლოს კომპანიის დირექტორი იყო შალვა ქასრაშვილი.

კომპანიის შემოსავლების დიმანიკა სტაბილურია და მიგვაჩნია, რომ ეს დინამიკა შესაძლებელს გახდის კომპანიის სტაბილურ ფუნქციონირებას. ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს, რაც გულისხმობს რომ კომპანია არის ვალდებულებების გადახდისუნარიანი.

2023 წელს კომპანიაში საშუალო წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 81 ადამიანს, ხოლო 2022 წელს 74 ადამიანს.

2. *სამომავლო გეგმები:*

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კომპანიის მიერ იგეგმება ინფრასტრუქტურის ესთეტიკური სახისა და ფუნქციონირების გაუმჯობესება. იგეგმება სააბაზანოების აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით და ახალი სამედიცინო მომსახურეობების შეთავაზების მიზნით, როგორებიცა ციფრული რენტგელოგიური გამოკვლევები, ულტრაბგერითი კაბინეტის(ექოსკოპიური გამოკვლევებისათვის) და სამედიცინო ლაბორატორიის მოწყობის მიზნით შესაბამისი აღჭურვილობის და დანადგარების შეძენა.

შპს „წყალტუბოს თერმული წყლები“-ს მიზანია კურორტის უნიკალურობის წარმოჩენა და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე, ასევ სამედიცინო ტურიზმის, თერმული სამკურნალო წყლების ნიშაში მყარი პოზიციონირება და ევროპული თერმული კურორტების გვერდით ადგილის დამკვიდრება.

3. *კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა*

გარდა საწარმოო ტექნოლოგიური კვლევებისა, კომპანიას სპეციფიკური კვლევები არ უწარმოებია.

4. *ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ*

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

5. ***რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი***

ფინანსური რისკების ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 4, ფინანსური რისკების გარდა სხვა რისკების ანალიზი კომპანიაში არ ჩატარებულა.

6. ***საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია***

კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

7. ***ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები***

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავალების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, გარდა მართველობით ანგარიშგებაში მოცემული დამატებითი ინფორმაციისა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

8. ***მართველობითი ანგარიშგების დამტკიცება***

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ბნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი	ბნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი

5. *რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი*

ფინანსური რისკების ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 4, ფინანსური რისკების გარდა სხვა რისკების ანალიზი კომპანიაში არ ჩატარებულა.

6. *საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია*

კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

7. *ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები*

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავალების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, გარდა მართველობით ანგარიშგებაში მოცემული დამატებითი ინფორმაციისა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

8. *მართველობითი ანგარიშგების დამტკიცება*

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 ოქტომბერს.

გნ. შალვა ქასრაშვილი, დირექტორი

გნ. გიორგი ბურჯანაძე, მთავარი ბუღალტერი